საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 24 (6518) 18 ივნისი ხუთშაბათი 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოფლის მაჯისცემა

## თოხნიან სიმინდის ყანებს

მიწის პრივატიზაციამ, ტექნიკის გაუმართაობამ ბევრი სიძნელე შექმნა ხვნა-თესვაში. სწორედ ამის შედეგია, რომ ზოგან ახლაც მიმდინარეობს ხვნა-თესვა, ტვიშის რეგიონში კი ნათესების პირველ თოხნას შეუდგნენ.

წელს 70 ჰექტარზე დაითესა ამ რეგიონში სამარცვლე სიმინდი, თესვა დროულად მოხდა, ამონაცენი კარგია, [illegible] სიმინდის ზრდა-განვითარ[illegible]ების ნორმალ[illegible] [illegible]ებიც შექმნა და მუშა კაცი მამა-პაპური თოხით გავიდა სიმინდის ყანაში. კარგი ყანები აქვთ ორხვის, ლახეფის, ტვიშისა თუ ქორენიშის მშრომელებს. დღეისათვის აქ 45 ჰექტარზეა სიმინდის პირველი თოხნა ჩატარებული.

# მომავალმა ცუდად რომ არ გვახსენოს

ჩვენდა სამწუხაროდ, დღე ისე არ გავა, რაიმე საშინელება არ მოვისმინოთ. დაუსჯელობით წაქეზებული ბნელ ძალთა სამყარო გაუგონარ საშინელებებს ჩადის საქართველოს ყველა კუთხეში. შევეჩვიეთ კიდეც უსიამოვნო ამბების მოსმენას. თუ აქამდე შენიღბულად მოქმედებდნენ, დღეს უკვე აშკარაა ყველაფერი, ყველა გაშიშვლდა, ყველა გამომჟღავნდა, ვის რისი უნარი და შესაძლებლობა აქვს.

რა ცოდვა გვაწევს ასეთი? დღეს ჩვენსა სისხლსა და ხორცს, ჩვენივე მოძმის გასაძარცვად იარაღი აუხსნამს. უკვე შევეჩვიეთ სროლის ხმას, ის კი არა, თავისუფლად ვარჩევთ ერთმანეთისაგან თოფის, ავტომატისა თუ რევოლვერის ხმას. გაჭირვება, მეტი რაღა იქნება, ადამიანები შიმშილობის ზღვარზე არიან მისული, და მაინც ვფიქრობთ, ასე თუ ისე ყველაფერს ეშველება, შეიძლება ისე მალე ვერა, მაგრამ დროთა განმავლობაში, როცა სხვისი იმედი აღარ გვექნება, ხელს ამოვიღებთ და ჩვენი შრომით მოვძლიერდებით და მოვღონიერდებით. მაგრამ რა ეშველება ზნეობრივ დეფიციტს, რა ეშველება ლაფში ამოსვრილ ადამიანებს, რა მოარჯულებს გადაგვარებულთ, რა გაალბობს გაქვავებულ გულებს, რა გაათბობს ძარღვებში გაყინულ სისხლს.

მიწის რეფორმამ ხომ სულ გამოამჟღავნა და გამოააშკარავა ბევრის ბიწიერება, ის, ვინც წლების მანძილზე ჰექტარებს თვითნებურად ფლობს, ისე ედავება უმიწოსა და უმწეოს, რომ უკანასკნელი ლუკმის მოპოვების საშუალებასაც კი ართმევს და ითვისებს. არადა სახელმძღვანელო დებულებაში გარკვევით წერია, რომ მამა-პაპისეულის დაბრუნების უფლებით ესა თუ ის კომლი სარგებლობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საკარმიდამო ნორმა შესავსებია. ეს თითქოს ვერ გაიგეს, თითქოს საკარმიდამო საერთოდ არა ჰქონდეთ, ისე ეხვევიან თავს და ხელყოფენ მამა-პაპისეულს, ცისიც არ უნდა იყოს იგი, ასე კარგავს სოფელი თავის იერ-სახეს, თავშეყრის, და სპორტული ღონისძიებების ჩასატარებელ ადგილს. იქნებ სოფელს თავისი განვითარებისათვის დასჭირდეს ადგილი, იქნებ ისე წავიდეს საქმე, რომ საჭირო გახდეს სამოსახლოდ მიწის გამოყოფა, საბავშვო ბაღის, პურსაცხობის ან სახერხის აგება და მაშინ... მიწა რად უნდა გახდეს საძებარი, სწორედ ამისთვის უნდა შემოვინახოთ სოფლის ცენტრი, ვისაც საკარმიდამოს შევსება სურს, ცალკე შეიქმნას საამისოდ მიწის ფონდი და იქიდან გადავცეთ მიწა.

დავანებოთ თავი გაუმაძღრობას, სიხარბეს, ერთმანეთის დაუნდობლობას, დემოკრატია კანონის დაუცველობას, ანარქიას როდი ნიშნავს, უკანონოდ მოპოვებული არავის შერგებია და არც შერგება, გავიგოთ, კარგად შევისწავლოთ სოფლის მიწის ფონდი და გავანაწილოთ იგი თანაბრად, კატეგორიების მიხედვით. მიწა მიიღოს მისმა კანონიერმა მფლობელმა და საქმე გავაკეთოთ ისე, რომ ჩვენმა შემდგომმა თაობამ ცუდად არ მოგვიხსენიოს.

შესდექით ადამიანებო! გვეყოს ჭკუა და გონიერება, ახლა ჩხუბის დრო არაა, ქართველ კაცს ჩხუბისთვის სადა სცალია, ახლა შრომის, მშვიდობიანი ცხოვრების და წესრიგის აღდგენის დროა.

ჯ. მანდარია.

## ფიქრები ცხოვრების გზის გასაყართან

## ჩემი თაობა იტვირთავს

მართლაც რა სწრაფად გადის დრო, უკვე წარსულში დაიბუდა იმ ულამაზესმა, მღელვარე თერთმეტმა წელმა მშობლიური სკოლის კედლებში რომ გავატარეთ და ახლა, ბავშვობას დაშორებულნი, დიდი ცხოვრების საფეხურთან მდგომნი, ოცნებით ვქმნით მომავალს, გვსურს, რეალურად განვახორციელოთ სიყმაწვილისდროინდელი ოცნებანი, უპირველესად კი, ყველას ერთი მიზანი გვაქვს, ჩვენი ძალები შევწიროთ საქართველოს ბედნიერებას.

დღეს საქართველოს მჭრელ იარად ქცეულა სამაჩაბლო, დაჭრილ-დასახიჩრებულა დედაქალაქის პროსპექტები, ძმათამკვლელ ომში შეწყდა ასობით ქართველი ვაჟკაცის მფეთქავი გული, შეძრწუნებული და აფორიაქებულია დიდი ილიას საქართველო. დავიღალეთ ... და მაინც გვჯერა, არ გავიწირებით, ათას ქარტეხილში გამოვლილი ერი კვლავ ღვთიური ენერგიით შეერკინება თავს დატრიალებულ ტრაგედიას, ჩემი თაობა იტვირთებს მამა-პაპის გმირული გზის გაგრძელებას, თითოეული ჩვენთაგანი საკუთარი საქმით, მაღალი პროფესიულობით, ქართული კულტურის სიყვარულით შეძლებს საქართველოს დაუმკვიდროს ადგილი ცივილიზებულ სამყაროში.

...უდარდელი ბავშვობა ხელს გვიქნევს შორიდან, ჩვენ კი დიდი ცხოვრების გზის დასაწყისთან მდგართ ერის საკეთებელი გველის.

თ. დავითულიანი.

ცაგერის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული.

## ხელსაყრელია მოსახლეობისათვის

ეკონომიკური ბლოკადის ამ უმძიმეს პირობებში, როცა ყველაფერი დეფიციტი გახდა, სხვა აუცილებლობასთან ერთად მოსახლეობას გაუჭირდა პირუტყვის საკვების შოვნა, ამასთან დაკავშირებით მინდა იცოდეთ, რომ სოფელ ჭალისთავში მოქმედებს ხორცის მიმღები პუნქტი, რომელიც აწარმოებს ხორცის მიღებას და სანაცვლოდ კომბინირებული საკვების გაცემას მხოლოდ ხორცის ჩამბარებლებზე.

ხორცის მიღება იწარმოებს შემდეგ ფასებში— ღორის ხორცი (ცოცხალი წონა) 17 მანეთი, საქონლის—28 მანეთი. ჩამბარებელი კომბინირებულ საკვებს მიიღებს 4,5 მანეთიდან 5 მანეთამდე ფასში. ფული გაიცემა ხელზე, ხორცის ჩაბარებისთანავე.

ვფიქრობთ, მოსახლეობისათვის ხელსაყრელია ჩვენი პირობები, მზად ვართ ჩამბარებლებს ნებისმიერ დროს მოვემსახუროთ.

ლ. კოპალიანი,

ხორცის მიმღები პუნქტის გამგე.

# ერთსულოვნების ვითარებაში

## გაიმართა არჩევნები საზოგადოება »სტალინის« რაიონულ ორგანიზაციაში

გაიმართა საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება.

მომხსენებელმა გ. თუთისანმა, კამათის მონაწილეებმა გალაქტიონ მანდარიამ, ჯიბილო მიქაძემ, გიორგი ბენიძემ, ლევან ჩარკვიანმა, ლევან ჩიქოვანმა, კოსტა სილაგაძემ, ოთარ სალინაძემ აღნიშნეს, რომ საზოგადოება „სტალინი“ თანდათანობით ძლიერდება და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ერთ-ერთმა ორატორმა რუსი გენერლის ა. კოლესნიკოვის წიგნიდან ამონაწერი წაიკითხა „სტალინთან ჩვენ ვალში ვართ მთელი ცხოვრების მანძილზე, მან ორჯერ გადაარჩინა რუსეთი მონობისაგან, რამდენიც არ უნდა ლანძღონ ის, ხალხს მაინც უყვარს, მისი ჩაქრობა არ შეიძლება“. კრებაზე გამოიკვეთა ამ ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები. იგი რაიონის სხვა ორგანიზაციებთან ერთად იღვაწებს დღევანდელი ცხოვრებიდან გამომდინარე პრობლემების, რაიონის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად. ამასთან საზოგადოების წევრებს მიაჩნიათ, რომ ამ ბუმბერაზი ადამიანის აბუჩად აგდება, მისი ცუდად მოხსენიება, მის მიმართ დაუმსახურებელი ბრალდებების წაყენება, მეტი რომ არაფერი, უკულტურობაა.. ვერავითარ ლოგიკას ვერ უძლებს ის აზრი, თითქოს დღევანდელი ეკონომიური, პოლიტიკური თუ სოციალური დაცემულობა სტალინის ბრალია, პიროვნებისა, რომელიც 4 ათეული წელია ჩვენთან აღარ არის.

გაიმართა არჩევნები. საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციის საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნა 9 წევრი. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ჯიბილო მიქაძე.

რ. ბაქრაძე.

## მოზარდი და სამართალი

# რჩევას ნუ დაკამადლით

გართულდა ცხოვრება. ჩვენს ირგვლივ ერთბაშად მომრავლებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პრობლემებმა თითქოს მეორე ხარისხოვნად აქცია ბევრი საკითხი, რომელშიც დაშვებულმა შეცდომამ შეიძლება მეტად მძიმე და არასასურველი შედეგები მოგვცეს. აი, თუნდაც ჩვენი დამოკიდებულება არასრულწლოვანისადმი, რომელიც შესაძლებელია დაიბნას კიდეც შექმნილ ვითარებაში და მისი ცნობიერების ჩამოყალიბება არასწორად მოხდეს, თუ ჩვენი საზოგადოება, სასწავლო-აღმზრდელობითი და სამართალდამცავი ორგანოები არ მივანიჭებთ ამ პროცესს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

სამართალდარღვევათა თავიდან აცილების, დანაშაულის პროფილაქტიკისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცების დედაბოძია მოზარდი თაობის სამართლებრივი აღზრდა. ჩვენი მომავალი ხომ ახალგაზრდობის ნაწილს ეფუძნება, რომელიც კეთილსინდისიერად სწავლობს და შრომობს, გამოირჩევა მაღალი ზნეობრივი და მორალური თვისებებით.

სამწუხაროდ, მომრავლდნენ ახალგაზრდები, რომლებიც თავს არიდებენ შრომას, უსაქმურად და ფუჭად ატარებენ დროს, ეტანებიან სპირტიან სასმელებს, არღვევენ მართლწესრიგს. სწორედ ეს უქმნის ხელსაყრელ ნიადაგს მძიმე დანაშაულთა გავრცელებას არასრულწლოვანთა შორის. რესპუბლიკაში შარშან აღრიცხული მარტო ყაჩაღობიდან 46-ანუ 30-ით მეტი, ვიდრე 1990 წელს. ჩადენილია არასრულწლოვანების მიერ, ამასთან 23 არასრულწლოვანი მონაწილეობდა ჯგუფურ თავდასხმებში. ისინი თანდათან გვეცლებიან ხელიდან, გადაგვარების დაღმართზე დაქანებულნი, შეისისხლხორცებენ რა სხვისი შრომის ხარჯზე თავის იოლად გატანის პრაქტიკას, სასჯელის ყოველგვარი ზომა მათთვის გამოსწორების კი არა, საზოგადოებისაგან დროებითი იზოლირების საშუალება გახდება.

ბავშვის აღზრდა ოჯახიდან იწყება. ოჯახში ყალიბდება არასრულწლოვანის ხასიათი, მისი შეხედულება სწავლაზე, მეგობრობასა და სიყვარულზე, პირველად აქ იწრთობა მისი მორალურ-ეთიკური თვისებები, კანონისადმი დამოკიდებულება, მისი კულტურა. ეს ავალდებულებს მშობლებს იზრუნონ ბავშვის აღზრდის, ფიზიკური განვითარებისა და სწავლისთვის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმისთვის.

მშობლების მიერ ამ მისიის შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება, მოუფიქრებლად ოჯახის დარღვევა დამღუპველ ზეგავლენას ახდენს არასრულწლოვანის ზნეობრივ, ცხოვრებისეულ შეხედულებებსა და ქცევაზე.

არანაკლები ზიანი მოაქვს ბავშვის ზედმეტად განებივრებას, განსაკუთრებულ ფუფუნებაში აღზრდას, მშობლების მიერ არასრულწლოვანის უსაფუძვლოდ დაცვას და ყოველგვარი მიზეზებით მის გამართლებას.

არასრულწლოვანთა აღზრდაში განუსაზღვრელია სკოლის როლი, სადაც ამ მხრივ შეინიშნება გარკვეული ნაკლოვანებები. სკოლა ყოველთვის არ არკვევს აღსაზრდელის ოჯახურ პირობებს, იმ მიზეზებს, რაც ხელს უშლის მოსწავლეებს სწავლაში. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ძნელად აღსაზრდელი მოსწავლეები გადაჰყავთ სკოლიდან სკოლაში ან პესიმისტურად ეკიდებიან მათ გამოსწორებას.

ოჯახისა და სკოლის გულგრილი დამოკიდებულება არასრულწლოვანის აღზრდისადმი იწვევს უზედამხედველოდ დარჩენილი ახალგაზრდობის უსაქმოდ ქუჩაში ხეტიალს, რაც არც თუ იშვიათად იმით მთავრდება, რომ ისინი კავშირს იჭერენ საეჭვო ყოფაქცევის პირებთან. ასე იწყება პარაზიტული ცხოვრება, ყოველივე ეს ხშირად მართლწესრიგის დარღვევასა და დანაშაულის ჩადენაში, ლოთობასა და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში გადაიზრდება ხოლმე.

კანონმდებლობა იქეთკენ არის მიმართული, რომ შეამსუბუქოს არასრულწლოვანის მდგომარეობა, დამატებითი გარანტიები დააწესოს მისი უფლებების დასაცავად. გააძლიეროს იმ პირთა პასუხისმგებლობა, ვინც დანაშაული ჩაიდინა არასრულწლოვანის მიმართ, დაიყოლია ან ჩაება დანაშაულში.

დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვანის მიერ განიხილება როგორც შემამსუბუქებელი გარემოება. არასრულწლოვანი თოთხმეტი წლის ასაკიდან პასუხს აგებს მხოლოდ ცალკეული დანაშაულის ჩადენისათვის (მკვლელობა, სხეულის განზრახ დაზიანება, გაუპატიურება, გაძარცვა, ყაჩაღობა და სხვა). სრული პასუხისმგებლობა დგება 16 წლის ასაკიდან.

იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, არ შეიძლება შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა [illegible] წელზე მეტი ვადით. არასრულწლოვანთა მიმართ [illegible] აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას.

კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება არასრულწლოვანის მიმართ უნდა გვჭირდებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოებამ სრულად ამოწურა მისი შესაძლებლობები, რაც ხშირად ასე არ ხდება. არასრულწლოვანი არც თუ იშვიათად ჩვენგან შეუმჩნევლად ხვდება განასჯელის სკამზე და შემდგომში გვიპყრობს გულისტკივილი თუ სად, როდის და როგორ დაშვებულმა შეცდომამ გამოიწვია მისი „ცდუნება". ყველა ასეთმა შემთხვევამ უნდა დაგვაფიქროს. იქნებ შეგვეძლო გადაგვერჩინა, ჩვენი დარიგებით ცხოვრების სხვა გზა აერჩია. გზა სიმართლისა და კეთილსინდისიერებისა. ამიტომ მართალნი რომ ვიყოთ, ვისაც ხელეწიფება, არასრულწლოვანს ნუ დაამადლის გონივრულ რჩევას, დაკარგულად არ ჩათვლის მათთვის დახარჯული დრო, ისინი ყოველთვის უნდა იყვნენ ჩვენი ზრუნვით გარემოცულნი.

**ლ. გურგუჩიანი.**
ცაგერის რაიონის მოსამართლე

---

## სიტყვა—მოქალაქეს

# ანტისანიტარიაზე, დავიწყებულ ტრადიციაზე და ქალალდზე დარჩენილ განცხადებაზე

ბევრ ცაგერელს ჭეშმარიტად შესტკივა გული იმ უსუფთაობის გამო, რაც ქალაქის ქუჩებში სუფევს, მაგრამ მის აღმოსაფხვრელად არავინ ზრუნავს. რომელმა ცაგერელმა, ბერმა თუ ახალგაზრდამ არ იცის, რომ ქუჩის მტვერი, ჭუჭყი, უსუფთაობა და სიბინძურე სხვადასხვა დაავადების მომტანია ადამიანისათვის და ჯანმრთელობას ვნებს, მაგრამ ვინ რას ვაკეთებთ ჩვენი ქუჩების სისუფთავისა და სილამაზისათვის? თითქმის არავინ, საუბედუროდ, სამსახურებრივი მდგომარეობით დაკავებულნიც კი.

ვის არ გაგივლიათ ქალაქის ქუჩებში და არ შემოგხვედრიათ ან დაგწევიათ ავტომანქანა? ავტომანქანის მოახლოებისას უნდა გადადგე არა მანქანის შიშით, არამედ მისი გავლით შექმნილი მტვერისაგან დასაცავად. ყველას გვაქვს პატარ-პატარა ეზოები ბაღით, ბოსტანითა და ვენახით, დააკვირდით მცენარეთა ფოთლებს, ნაყოფს, განსაკუთრებით სიმწიფის პერიოდში, დააკვირდეთ ოჯახის ნივთებს, რა დღეში არიან? დააკვირდეთ გასაშრობად აივანზე გაფენილ თეთრეულს რამდენი მტვერი აყრია.

ბოლოს და ბოლოს ვინ არის დამნაშავე. ქალაქის მცხოვრებლებს ამდენ უსიამოვნებას ვინ გვაყენებს? პასუხი ერთია—ჩვენ ყველანი ვართ ამ უსიამოვნების მომტანი. ზოგიერთები შეგვედავებიან კიდეც, რომ არის საამისო სპეცსამსახური და დაიცვან სისუფთავე. კი ბატონო, ჩვენც ვიცით, რომ არის ასეთი სამსახური, მაგრამ კარგად დააკვირდით მდგომარეობას, რამდენი სიძნელეები გააჩნია ამ სამსახურს... საუბედუროდ, თქვენ არ გინდათ, რომ თქვენი ჭიშკრის გასწვრივ იქონიოთ სისუფთავე და სხვას, ვიღაცას როგორ მოუნდება დღევანდელი გასამრჯელოს პირობებში დაგვისუფთაოს ქუჩები, ეზოს მიმდებარე ტერიტორია და თან ჩვენს ოჯახებში წარმოშობილი ნაგავიც მიაყოლოს? საუბედუროდ, მცხოვრებთა დაუდევრობით ქუჩებში შექმნილია უნებლიე ნაგავსაყრელები.

როგორც თქვენ, ისე პირადად მეც, ხშირად სტუმრად ჩამოსულთან გავლა-გასეირნება მრცხვენია ჩვენი ქალაქის ქუჩების უსუფთაო მდგომარეობის გამო. ბოლოს და ბოლოს, ეს უსიამოვნებები რომ თავიდან ავიცილოთ, ხომ არ აჯობებდა ავიღოთ ინიციატივა, ყველამ ვუპატრონოთ ქუჩის იმ მონაკვეთს, რომელიც ჩვენი ეზოს გასწვრივაა? ასეთი ტრადიცია წინათ იყო, წარმოება-დაწესებულებები, მცხოვრებლები ვასუფთავებდით მიმდებარე ქუჩის მონაკვეთს, რატომ გაქრა ეს კარგი ტრადიცია?

საოცრად დიდ უსიამოვნებას იწვევს რაიონული ცენტრის ქუჩებში, ბაღებსა, სკვერებსა და გაზონებში ღორებისა და მსხვილფეხა პირუტყვის დღედაღამ თარეში. პირდაპირ სრული ქაოსია და ურთიერთუპატივცემულობის გარდა აქ სხვას ვერაფერს ვხედავთ. ამ უმსგავსობის შესახებ ბევრჯერ დაიწერა რაიონულ გაზეთში, კომუნალური მეურნეობის დირექციამ რაიონული გაზეთის 9 აპრილის ნომერში გამოაქვეყნა მოქალაქეთა საყურადღებო განცხადება იმის შესახებ, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილის უპასუხისმგებლობის გამო ქალაქში გახშირდა პირუტყვის ხეტიალი, რაც აუარესებს ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას, აფრთხილებდნენ მათ რომ პირველად დაჭერილ ერთ სულ პირუტყვში გადაახდევინებენ ჯარიმას 100 მანეთს მეორე შემთხვევაში ყოველგვარი შეთანხმების გარეშე პირუტყვი ჩაბარდებოდა სავაჭრო ორგანიზაციებს. ასეთმა განცხადებამ ყველა კეთილნების მოქალაქის კმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ აღნიშნული ღონისძიება ქაღალდზე დარჩა. ქალაქის ქუჩები, ბაღები, სკვერები და გაზონები ავსებულია მოხეტიალე პირუტყვით. ამ საქმეში ნამდვილად სცოდავს კომუნალური მეურნეობის დირექცია.

პატივცემულო მოქალაქენო! ვისაც პირუტყვი გყავთ, იყოლიეთ ბატონო, მაგრამ მოუარეთ, ნუ გაუშვებთ ქუჩაში, ბაღსა, სკვერებსა თუ გაზონებში, დაიცავით ჰიგიენის ელემენტარული ნორმები და წესები.

ყველას გასაგონად ვამბობ- ჩვენს ქალაქს ჩვენვე უნდა შევუქმნათ უკეთესი სახე და უკეთესი იერი.

**ჯიბილო მიქაძე.**
ცაგერის № 91 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

---

# ინამეთ ღმერთი!

ყველა ქართველს აწუხებს ის უბედურება, რაც საქართველოში ტრიალებს დღეს. ყველამ ვიცით, რომ სამყარო და ჩვენ ღმერთის გაჩენილები ვართ და უფალმა დროებით მოგვანდო სული, რომელსაც უნდა ვემსახუროთ.

იყო წლები, ქართველს ქართულ ეკლესიაში წირვა-ლოცვის, ნათლობა-ჯვრისწერის უფლება არ ჰქონდა. დღეს იმის ნაცვლად, რომ ავლავლინოთ ლოცვები, მოვინანიოთ ცოდვები, ყოველგვარ ქრისტიანულს ზურგი ვაქციეთ და იმ დონემდე მივედით, ერთმანეთს ვხოცავთ, ვკლავთ, ვძარცვავთ..

გვეყოფა ხალხო ამდენი ცოდვა. ყველა სიკვდილის შვილები ვართ, ეს ვიცით, მაგრამ არ ვიცით ის, რაც სიკვდილის შემდეგ ხდება, იმიერ ქვეყანაში. გარდაცვალების შემდეგ ყველას მოგვეკითხება. მე არ ვიცი, როგორ გამიგებს ამის მკითხველი, რამდენად დამიჯერებს, მაგრამ მე, კლინიკური სიკვდილის გამომვლელმა კაცმა, ვიცი, რომ ცოდვების მონანიება აქ შეიძლება მხოლოდ, და არა იქ, სადაც მარადიული სიცოცხლეა და არ მინდა ვინმეს სანანებლად ექცეს განვლილი დრო.

გვეყოფა ხალხო, განვიწმინდოთ, მოვინანიოთ ცოდვები, შევიყვაროთ ერთმანეთი.

**გ. შკუბულიანი,**
ლვითისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაცია) ლეჩხუმ-სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე.

---

# ტკივილიანი მტიშდები

დედაშვილობას, ანალიზები გავიკეთე, დილაუთენია მშიერი ფეხით მოვდივარ სოფლიდან დიაბეტიანი და იქნებ 200 გრამი პური მომყიდო სამადლოდ...

* * *

ევროპელებს კი დავემგვანეთ ფიგურით ამდენი შიმშილითა და ფეხით სიარულით, ერთი ჭირი მარგებელიაო, ხომ გაგიგონია.

—ერთი ჭირი კი, მაგრამ 2-3 თვის მერე ვის დავემგვანებით, ამაზე გიფიქრია?

* * *

დედიკო, არ მინდა სათამაშო, შაქარი მიყიდე!

* * *

რაიკავშირის ხახადაფჩენილი შენობა ხომ არაა ჩვენი ცხოვრების სიმბოლო, ა?

* * *

—ლარნაკზე ეწყო კაკალი, თხილი, ვაშლი, შოკოლადი...

—სიზმარში?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებიუტი — ინტერვიუ დებიუტანტთან

პირველი დღე საყვარელ პროფესიასთან კონტაქტში განსაკუთრებით დასამახსოვრებელია, პედაგოგისთვის მით უფრო, იგი ხომ გარკვეულ მღელვარებასთანაა დაკავშირებული. ახალგაზრდა მასწავლებელთან საუბარში ყოველივე ეს და ამასთან პროფესიისადმი ტრფიალი, მოკრძალება მკვეთრად შეიგრძნობა. მაშ, ასე—ვესაუბრები ყოზეფინა გუგავას, ცაგერის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**რას გვეტყოდით თქვენი პირველი გაკვეთილის შესახებ?**

პირველი გაკვეთილი? განცდა თავისთავად! ამჯერად მხოლოდ ბედისწერას მივენდე, ვერ დავემდურები, მაგრამ ერთი კია: სათქმელი ბოლომდე ვერ ვთქვი და რა გასაკვირია,—ქართულ მწერლობაზე სათქმელს ვერც ვერასოდეს ამოვწურავ.

**თქვენი მასწავლებლობის ამ მცირე დროში თუ არის რაიმე ძალზე დასამახსოვრებელი, მნიშვნელოვანი, კეთილად მოსაგონარი თქვენთვის (ვგულისხმობ უშუალოდ მოსწავლეებთან ურთიერთობას)?**

ტკბილ სიტყვასა და ალერსს გადაჩვეულს, ბავშვების ღიმილიანი სახეები დამრჩება მარად კეთილ მოსაგონრად.

**მასწავლებლობა მეტად რთული პროფესიაა, რომელიც დიდ ნებისყოფასა და უნარს მოითხოვს. თქვენ ალბათ სურვილიც გქონდათ მასწავლებლობისა და ისიც გიფიქრიათ, რომ შეძლებდით. როგორ ფიქრობთ, აღმოგაჩნდათ ის ძალა, რაც ამ პროფესიისთვის აუცილებელია?**

ხანდახან მიფიქრია, თითქოს არჩევანში შევცდი, მაგრამ ყველაფერი რომ თავიდან დამეწყო, ალბათ მაინც მასწავლებლობას გავიხდიდი პროფესიად. ძალა? ძალებს ვიკრებ, თუმცა ისიც ვიცი, რომ მასწავლებლობა ხელოვნებაა, „ხელოვნება კი გულის სისხლს მოითხოვს საფასად".

**თამარ დავითულიანი.**

# ავტომანქანის მფლობელებო, სახელმწიფო დაზღვევა თქვენს სამსახურშია

ცნობილია, რომ ბოლო პერიოდში გახშირდა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისა და ხელყოფის სხვა ფაქტები. განსაკუთრებით მასიური ხასიათი მიიღო ავტომანქანების ქურდობამ, ამას ემატება ავტოსაგზაო შემთხვევები.

იმის გამო, რომ ბევრ შემთხვევაში ატომფლობელებს დაზღვეული არა აქვთ ავტომანქანები, დიდძალი ზარალი აუნაზღაურებელი რჩება.

დაზღვევის სიკეთეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სატრანსპორტო საშუალებების დაზიანების და ქურდობის გამო ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში დაზღვევის საზღაურის სახით გაიცა 7 მილიონამდე მანეთი.

1992 წლის 1 მაისიდან ძალაში შედის ავტომანქანების დაზღვევის ახალი პირობები. დაზღვევის ხელშეკრულება მოქმედებს როგორც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

სახელმწიფო დაზღვევა გთავაზობთ სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ოთხ ვარიანტს. მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს დაზღვევის ნებისმიერი ვარიანტი.

I ვარიანტი—ავტომანქანის ნებისმიერ დაზიანებაზე (გარდა საბურავებისა) გადასახდელი სადაზღვევო თანხის 4 პროცენტი. ავტომანქანასთან ერთად დაზღვეულად ითვლება ავტომანქანის დამაზღვეველი 2000 მანეთ სადაზღვევო თანხაში.

II ვარიანტი—ავტომანქანის ნებისმიერ დაზიანებაზე (გარდა საბურავებისა და მინების დაზიანებისა, აგრეთვე ცალკეული ნაწილების გატაცებისა) გადასახდელი სადაზღვეო თანხის 3 პროცენტი. ავტომანქანასთან ერთად დაზღვეულად ითვლება დამაზღვეველი 1000 მანეთ სადაზღვევო თანხაში.

III ვარიანტი—ავტომანქანის ნებისმიერ დაზიანებაზე (გარდა საბურავებისა და მინების დაზიანებისა, აგრეთვე ავტომანქანის ან მისი ცალკეული ნაწილების გატაცებისა) გადასახდელი სადაზღვევო თანხის 2 პროცენტი..

IV ვარიანტი—ავტომანქანების მხოლოდ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ან სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებისას გადასახდელი სადაზღვევო თანხის 1,5 პროცენტი.

ავტომანქანები შეიძლება დაზღვეულ იქნეს ურთიერთშეთანხმებულ სადაზღვევო თანხებში.

იმ მიზნით, რომ დამზღვევლებს უმოკლეს ვადებში აუნაზღაურდეთ მიყენებული ზარალი, 2000 მანეთის ზარალის შემთხვევაში დაზღვევის საზღაური ანაზღაურდება ყოველგვარი ცნობების გარეშე, ხოლო თუ კი ზარალი აღემატება 2000 მანეთს და აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, საზღაური გაიცემა წარმოდგენილი ცნობების საფუძველზე ძიების დამთავრებამდე.

დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება შეგიძლიათ ცაგერის რაიონის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციაში. სურვილის შემთხვევაში დაზღვევის აგენტი შეგიძლიათ გამოიძახოთ ბინაში სადაზღვევო ხელშეკრულების გასაფორმებლად.

პატივცემულო მოქალაქენო. ზოგჯერ რეკლამას მოსატყუებელ საშუალებად გამოიყენებენ. ჩვენ ასეთი მიზანი არა გვაქვს. თვითონ გადაწყვიტეთ, რასაც გთავაზობთ, რამდენად საჭიროა თქვენთვის.

**ჯ. ჩიკვაიძე.**
ცაგერის სახდაზღვევის ინსპექციის უფროსი.

# ყურადღება!

ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაცია) ლეჩხუმ-სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა იუწყება, რომ მიმდინარე წლის 23 ივნისს, 12 საათზე ცაგერის რაიონული საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართება ღვთისშვილთა კავშირის ლეჩხუმ-სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენციას უნდა დაესწრონ ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში მცხოვრები ინვალიდები, საკრებულოების გამგებლები ან წარმომადგენლები, სხვა მსურველნი.

**გ. შკუბულიანი,**
ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაცია) ლეჩხუმ-სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე.

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**ნანა მუშკუდიანს, შუქრი გვიშიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.

შურა, მურმან, ავთო ცხვედიანები.

**ნესტან სალინაძეს, რამაზ ნემსწვერიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას, სისრული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

დემურ ქომეთიანი ოჯახით.

## გილოცავთ

**ზურიკო ვახტანგის ძე შკუბულიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებასა და კარგ სწავლას, გფარავდეს ღმერთი.

მერი და ლია.

**ზოია ლიპარტელიანს, გია ჯაბიძეს ნაზი, დავით ლიპარტელიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.

სოსო ქაბუკიანი ოჯახით.

**ჟუჟუნა ჯიქიას**

გილოცავთ დაბადებიდან 60 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს თქვენი ოჯახით.

ნელი, ვალერი ლეთოდიანები, მარინე, თემურ შკუბულიანები, მირანდა, ავთანდილ ხაბულიანები, თამაზ, ზურაბ ბენდელიანები, იზოლდა კაჭკაჭაშვილი, თამაზ თაგვაძე, ამირან ხეცურიანი, გოგი კოპალიანი, ჯამლეთ ნემსაძე.

**ირმა, მამუკა ბენდელიანებს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. იმრავლეთ და იხარეთ.

ინეზა, ავთო კოპალიანები.

**რუსიკო კოპალიანს**

გილოცავ დაბადების დღეს.

ანა კუხალაშვილი.

**ირინე სვანიძეს**

გილოცავთ ძმისშვილის შეძენას.

ლილი ყურაშვილი, მაყვალა ცხვედიანი, თამილა ბენდელიანი, ნანი ქომეთიანი.

**გია გურამის ძე გვიშიანს**

გილოცავ დაბადების დღეს. ბედნიერი იყოს შენი ცხოვრების გზა. გფარავდეს ღმერთი.

სონა, თინა, ზინა მჭედლები.

**რედაქტორის მოადგილე**
**მ. ძნელაძე.**

# განცხადება

ცაგერსა და ჭალისთავს შორის დაიკარგა ქალის ყავისფერი ჟაკეტი. მპოვნელს ვთხოვთ მოიტანოს რედაქციაში.

## კინო

# სპირალი

გურამ ფანჯიკიძის ნაწარმოებები დიდ ინტერესს იწვევს არა მარტო საქართველოში არამედ საზღვარგარეთაც. მათ შორის განსაკუთრებით ყურადსაღებია სქელტანიანი რომანი „სპირალი". მასში ფაქტები და მოვლენები თითქოს ფანტასტიკურად, მაგრამ ხელშესახებად და მომავლის რეალურ განხორციელებად შეიგრძნობა. ამ ნაწარმოებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია ქართველ კინემატოგრაფისტებშიც. რეჟისორმა გიული ჭოხონელიძემ უკვე გადაიღო და დიდი წარმატებით უჩვენებენ საქართველოს კინოთეატრებში.

ფილმში გადაღებულია ცნობილი ქართველი მსახიობები ლ. უჩანეიშვილი, ო. მეღვინეთუხუცესი, ე. მაღალაშვილი, ლ. ელიავა, ლ. ქავჟარაძე, თ. არჩვაძე და მრავალი სხვა. იგი ოთხი სერიისაგან შედგება.

ახალი ქართული მხატვრული ფილმი „სპირალი" ქალაქის კინოთეატრში ნაჩვენები იქნება მიმდევრობით გრაფიკით. 23 და 24 ივნისს მაყურებელი ნახავს ამ ფილმის პირველ და მეორე სერიას, ხოლო 25 და 26 ივნისს მომდევნო ორ სერიას.

**ა. ხეცურიანი.**

## ხსოვნა

# შუშანა თალაკვაძე-ნემსწვერიძე



დედა ყველაზე ახლობელი და ყველაზე საყვარელია შვილებისათვის. ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენი ლამაზი სული მარადიულ სასუფეველში დაემკვიდრა. დედა, მოაკლდა ჩვენს ოჯახს შენი სითბო და მზრუნველობა.

შენ ხომ ნათესავების მოყვარული და დიდი პატივისმცემელი იყავი. ამიტომ უყვარდი ყველას. გახარებდა შვილების, შვილიშვილების შენს ოჯახში შეკრება, თავს დატრიალებდი, ენერგიას არ იშურებდი, რათა ყველა კმაყოფილი და ნასიამოვნები გულოდა. სიცოცხლე გრძელდება ჩვენს ოჯახში, მაგრამ შენს დანაკლისს ვერაფერი ავსებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, შენი მოგონება კი მუდამ ტკბილი და დაუვიწყარი იქნება შვილების და მეუღლისათვის.

შვილები: ლადო, ტარიელი, ნანი, მეუღლე ჟორა ნემსწვერიძე.

მეუღლე ლოლა ლაზარიანი, შვილები რევაზი, მალვინა, ზინა, ირაკლი, რობინზონი, მანანა, ნონა, ნანა, ნინო გიორგი ძმები გრიშა, კუკური, დები მარო, ლუბა, კლარა, სიძეები არჩილ მიქაუტაძე, გია ბაბუხადია, გოჩა ბარამიძე, ვაჟა კოპალიანი, ჯემალ ტალაბაძე რძლები ციალა ზურაბიშვილი, თამარ ბექაური, შვილიშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აღდგომელა (მიმიკო) გიორგის ძე გურული**

დაკრძალვა 20 ივნისს, შაბათს ქ. ცაგერში.

---

ღვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ვანო სვანიძეს ძმის

**შალვა სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

პროფტექგანყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანული, ზურაბ დაშნიანებს დედის

**ლუბა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ბადრი მიშას ძე სალინაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ლიდა ნესტორის ასული კოპალიანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი იუწყება ამავე სკოლის კურსდამთავრებულის

**არჩილ რევაზის ძე ბაკურაძის**

გარდაცვალებას.

---

პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შარდენ ხარლამპის ძე გუგავა.**

---

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის კოლექტივი თანაუგრძნობს ლია გვიშიანს დის

**ლენა გვიშიანი-ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ბუჭუ მურცხვალაძე, რობერტ კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შარდენ ხარლამპის ძე გუგავა**

---

ბუჭუ, ნადია გურულები, გურამ, გრიგოლ, ჯამბუ ლიპარტელიანები ოჯახებით იუწყებიან

**მიმიკო გურულის**

გარდაცვალებას.

---

გივი მურცხვალაძე ოჯახით თანაუგრძნობს აგრაფინა გოგიძეს დისშვილის

**იაშა ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები ბუჯუ, ანზორ, გოგი, დომენტი, მალხაზ, რომან მეშველიანები, ჯონი, როლამ, ნოდარ კვირკაშვილები, გივი ჩაფრავა, შოთა გვიდიანი, ომარ ვაწაძე სამძიმარს უცხადებენ გრიშა მურცხვალაძის ოჯახს

**ვერა გიორგის ასული ხაბულიანი-მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე გრიშა, შვილები ნანი, იულო, ჯულიეტა, ზურიკო, ბესიკი, სიძეები ჟორა იოსელიანი, ნუგზარ კორკოტაშვილი, ტარიელ ბაკურაძე, რძლები ყოზეტა ონიანი, სვეტა მურცხვალაძე, შვილიშვილები მურადი, ნესტან, დარეჯან, ფატი, ლაშა, კახა, სოფო, თეა, ნათია, შვილთაშვილები ბექა, ბიძინა, და ევა, ძმისწულები, დისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვერა გიორგის ასული ხაბულიანი-მურცხვალაძე**

დაკრძალვა 18 ივნისს, ხუთშაბათს სოფ. ჩხუტელში.

---

შვილი დალი კოპალიანი, სიძე თენგიზ მანაგაძე, შვილიშვილი ანა, დები თეო, ასმათ ბურჯალიანები, მული ოლღა, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლიდა ნესტორის ასული ბურჯალიანი-კოპალიანი**

დაკრძალვა 20 ივნისს, შაბათს სოფ. ქალისთავში.

---

რაიკოოპერატივის, პურკომბინატისა და საზკვების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ელგუჯა გუგავას მამის

**შარდენ გუგავას**

და ნაილი სილაგაძეს დედამთილის

**ნადია მოწონელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცოლისძმები დანიელ, თენგიზ ონიანები ოჯახებით იუწყებიან

**შარდენ გუგავას**

გარდაცვალებას.

---

ვაჟა, გრიშა კოპალიანები, გრიშა ლეთოდიანი, გრიგოლ სალინაძე, იდენ ნემსწვერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მურთაზ, თემო კოპალიანებისა და თემურ სილაგაძის ოჯახებს

**ჩიტო თუთისანის**

გარდაცვალების გამო.

---

ციცინო ჩხეტიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნათელა, კოლია ჩაკვეტაძეებს

**გია ნოდარის ძე ხმელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალიკო კვირკაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს გრიშა მურცხვალაძეს

**ვერას**

გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ, ბადრი ახვლედიანები, ვიტალი, ზაურ ლაზარიანები, შაქრო ცხოვრებაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მიმიკო გურული**

---

დავით კაპიტონის ძე კოპალიანი ოჯახით იუწყება

**ლიდა ბურჯალიანი-კოპალიანის**

გარდაცვალებას.

---

და ნუცა, სიძე იასონი, დისშვილები ლია, ნანი, ცარო, ციცინო, ნაილი, მანანა, თემურ ჩხეტიანები ოჯახებით იუწყებიან

**შარდენ გუგავას**

გარდაცვალებას.

---

შოთა, მალხაზ კოპალიანები, გიზო ხეცურიანი, შამილ ლიპარტელიანი, მურთაზ ბენდელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ტრისტან ცინარიძეს ქვისლის

**თემურ ბოჭორიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე საშა, შვილები ელგუჯა, ფოთოლა, ცირა, სიძეები იასონ ჩხეტიანი, რეზო გურგუჩიანი, თამაზ ჩიხლაძე, რძალი დოდო ჯიმშელეიშვილი, შვილიშვილები ჯონი, გოგი გურგუჩიანები, თამუნა, ეკა გუგავები, ქეთინო, სალომე ჩიხლაძეები, და ნუცა, უახლოესი ნათესავები იუწყებიან

**შარდენ ხარლამპის ძე გუგავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20 ივნისს შაბათს ქ. ცაგერში.

---

შვილები ციალა, ლანგუშა, ნელი, იგრანი, რძლები დუდუშა ყინველი, თინა, ნაილი, სიძეები ანტონ არაბიძე, ჟორა სილაგაძე, მურმან გოქაძე, მაზლი შალვა მოწონელიძე, რძალი პოლინე, მაზლიშვილი შოთა, შვილიშვილები, შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნადია ტარასის ასული ჭაბუკიანი-მოწონელიძე**

დაკრძალვა 18ივნისს ხუთშაბათს სოფ. ლაილაშში.

---

ვასილ ჩხეტიანი, გივი, ჯიბილო შკუბულიანები, ზურაბ ნემსწვერიძე, ოთარ გიგანი ოჯახებით იუწყებიან

**თემურ ბოჭორიშვილის**

გარდაცვალებას.

---

ბორის გოგიძე, გრიშა ნემსწვერიძე ოჯახებით იუწყებიან

**იაშა ონისიმეს ძე ყურაშვილის**

გარდაცვალებას.

---

ვიტალი მუშკუდიანი, იური ლიპარტელიანი, საშა მინდიაშვილი, შალვა თუთისანი, კაკო, ანზორ ნემსაძეები, ალუდა ზურაბიანი, რეზო მურცხვალაძე, ლამარა კაკაჩიაშვილი, გია, ნოდარ კოპალიანები, სოსო ფაჩკავიძე იუწყებიან

**შარდენ გუგავას**

გარდაცვალებას.

---

ასლან ფოჩხიძე, თამაზ ჩარკვიანი, გუგული ხაბულიანი, ნუგზარ, შმაგი, ვერა კიკალიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ვერა (ვარა) ხაბულიანის**

გარდაცვალებას.

---

№23 სპეცზაო სამმართველოს კოლექტივი თანაუგრძნობს რეზო ყურაშვილს

**არჩილ ბაკურაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები როზა, მიხაკო სილაგაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნადია ტარასის ასული მოწონელიძე.**

---

ნოდარ, გურამ, ჯამლეთ ნემსაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**არჩილ რეზოს ძე ბაკურაძე**

---

ზაურ გვიშიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**შარდენ გუგავა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საფინანსო განყოფილების და საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზურაბ დაშნიანს დედის და გრიშა ახვლედიანს მამიდის

**ლუბა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

დედა ელენე, მეუღლე თინა, შვილები გულიკო, გულნაზი, გურამი, რძალი თამილა სივსივა, სიძე თამაზ ლოსაბერიძე, ძმა ელდარ ყურაშვილი, რძალი ნარგიზა ონიანი, შვილიშვილები ნიკა, გიგა, ეკა, ბექა. ძმისშვილები კახა, ალეკო, ლევანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იაშა ონისიმეს ძე ყურაშვილი.**

---

სიდედრი ქენია, სიმამრი ბიჭიკო, მამიდა გოგუცა, ქვისლი ტრისტან ცინარიძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თემურ ალეკოს ძე ბოჭორიშვილი**

დაკრძალვა 20 ივნისს, შაბათს ქ. ქუთაისში. გამოსვენება ნიკეას ქ. № 7-ა

---

აბესალომ, ტარიელ მურმან, ავთო გუგავები ოჯახებით იუწყებიან

**შარდენ გუგავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ რუსუდან ლეჟავას დედამთილის

**ანა ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ შკუბულიანი, როლანდ სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოლღა, ტატიანა ბაკურაძეებს შვილისა და შვილიშვილის

**აჩიკო ბაკურაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გელა, კაკო ხაბულიანები, ძერი, ბორის აბაშიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**თემურ ბოჭორიშვილის**

გარდაცვალებას.

---

ზურაბ ხვისტანი, რომეო მანდარია ოჯახებით თანაუგრძნობენ ტატიანა ყურაშვილს შვილიშვილის

**არჩილ ბაკურაძის**

გარდაცვალების გამო.

---

საგადასახადო ინსპექციის და საფინანსო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ სოსო ქომეთიანს მამიდაშვილის

**ვალერი კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გერონტი, ბორის თუთისანები, მიშა, დოდო, ბუჭუ ჩაკვეტაძეები, ომარ ასათიანი, ჟორა კუხალაშვილი, ჯუმბერ ნემსწვერიძე, შოთა, ზურაბ ხაბულიანები, რამინ ყურაშვილი, ვალიკო, როლანდ, ოლეგ ცხვედიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანა (ანიკო) მელიტონის ასული ნემსწვერიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ეთერ ბარაბაძე, ჯემალ, მურთაზ, ჯემალ კოპალიანები, ბუდუ ომანაძე, გრიშა ჩიქოვანი, ვლადიმერ, ჯაბუ ხეცურიანები, რაიბულ ჩარკვიანი, პოქია, ნინა ახვლედიანები, პიმენ მურცხვალაძე, ალიოშა ბრეგვაძე, ნაზი მუშკუდიანი იუწყებიან

**შარდენ გუგავას**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე აკაკი, შვილები ომარი, რეზო, ნანული, სოზარი, სიძე ანზორ მუშ[illegible], [illegible] ლა, მაღონა, [illegible] შვილები [illegible], ერეკლე, პეტრე, გელა, დარეჯანი, მაზლი სევარიონი, მაზლიშვილები იუწყებიან

**ივლიანე (გოგუცა) ანდრიას ასული ვაჩაძე-სილაგაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 21 ივნისს, სოფ. მახაშში.

---

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნოდარ ნემსაძის ოჯახს

**არჩილ (აჩიკო) ბაკურაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილი ნანი, სიძე ჟორა იოსელიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვერა მურცხვალაძე**

---

რაფიელ კოპალიანი, სოზარ სვანიძე ოჯახებით იუწყებიან

**არჩილ ბაკურაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნათელა გოლეთიანი, ხათუნა კაბისაიძე, ეზიო ბაკურაძე, ნუგზარ ჩიქოვანი, ბიჭიკო ბახსოლიანი, ვახტანგ კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ცირა, თამაზ ჩიხლაძეებს მამისა და სიმამრის

**შარდენ გუგავას**

გარდაცვალების გამო.

---

ძამუ ახვლედიანი, ლამარა ბერიძე, ლია მუშკუდიანი, მანანა კუხალაშვილი, ქეთინო ლიპარტელიანი, მანანა მუშკუდიანი, ომარ ჭაბუკიანი, შოთა ახვლედიანი, გივი ბენდელიანი, რუბენ გოგიძე თანაუგრძნობენ ტატიანა ყურაშვილს შვილიშვილის

**აჩიკო ბაკურაძის**

გარდაცვალების გამო.

---

სამეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზურაბ გოგიძეს დეიდაშვილის

**იაშა ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

აგრომრეწვბანკის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ გუგული სალინაძეს დეიდის

**ლიდა ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

აგრომრეწვბანკის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზი ხაბულიანს ბიძაშვილის

**ვერა ხაბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ, თემურ კოპალიანები, თემურ სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჩიტო შოთას ასული თუთისანი.**

---

უახლოესი მეზობლები ვალიკო კოპალიანი, შოთა მუშკუდიანი, მარო სალინაძე, მუხრან მურცხვალაძე, ზაურ ჩაფრავა, ჯანიბი ხვადაგიანი, შერაგი ყვირილიანი, პარიმონ ხეცურიანი, ბიჭიკო ქარსელაძე, ზაზა ყურაშვილი იუწყებიან

**აჩიკო რეზოს ძე ბაკურაძის**

გარდაცვალებას.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.